



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 516/ს  
14/12/2022

516-21-4-202212141455



**ქ. რუსთავში, შპს „გია\_2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების  
ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის  
შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „გია\_2019“-ის მიერ (ს/კ 430804640) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა N 72-ში მდებარე ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ვ.დ.ლ“-ს ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №42 (04.08.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1218 17.12.2019). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, შპს „ვ.დ.ლ“-ს ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „გია\_2019“-ს (ბრძანება N2-41/21.01.2020). 2021 წლის 18 აგვისტოს „შპს გია\_2019“-მა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიზნით სამინისტროში წარადგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რაზეც, სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და 2021 წლის 30 დეკემბერს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1728 ბრძანება), ამავდროულად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „შპს „ვ.დ.ლ“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „გია\_2019“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის №2-41 ბრძანება და „შპს „ვ.დ.ლ“-ს ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 დეკემბრის №2-1218 ბრძანება (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N42; 04.08.2015);

2022 წლის 25 თებერვალს შპს „გია\_2019“-მა სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა ქ. რუსთავში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N 93/ს; 18/05/2022).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად (წერილი N21/5429, 20.09.2022), შპს „გია\_2019“-ის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N5275, 03.10.2022), მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროებთან, საწარმოსთვის გათვალისწინებულ ფილტრებთან, კუმულაციური ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის კორექტირებული ნორმების პროექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „გია\_2019“-ის კუთვნილი საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქ. №72-ში, სს „ცემენტშიდი-94“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.07.03.031, 02.07.03.032 (GPS კოორდინატები X-503915, Y-4595485), რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს „გია\_2019“-ის მფლობელობაშია. საწარმოს საზღვრიდან სამხრეთით უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 100 მეტრით, ხოლო უშუალოდ ცემენტის დასაფქვავი წისქვილის გაფრქვევის მილიდან დაახლოებით 200 მეტრით. ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმო. საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 70 მეტრში მდებარეობს შპს „მტკვარი ენერჯის“ საკუთრებაში არსებული მიწისზედა მაგისტრალური ღია არხი (მარიინის არხი). საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 500 მეტრიან საზღვარში მდებარეობს შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხანა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმო. საპროექტო ტერიტორია მოზანდაკებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისგან.

შპს „გია\_2019“-ის მიმდინარე საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოებას (M-300, M-400, M-500), რისთვისაც იგი უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებით და დამხმარე ინფრასტრუქტურით. საწარმოში წარმოებული ცემენტი მიიღება კლინკერის, მინერალური დანამატების და თაბაშირის დაფქვით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ნედლეულის სასაწყობე დახურული ტერიტორია, კაზმის ასარევი მოედანი, მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, 5 ტ/სთ წარმადობის ცემენტის დაფქვის წისქვილი, სახელოიანი ფილტრი, პნევმოტრანსპორტიორი, დამხმარე შენობა-ნაგებობები. ამასთან, წარმოებული პროდუქციის განსათავსებლად, საწარმოს ტერიტორიაზე ერთმანეთის

გვერდით განთავსებულია ექვსი ერთეული ცემენტის სილოსი, მათ შორის თითო 60 და 120 ტ, ხოლო ორ-ორი 90 და 130 ტონა მოცულობის. სილოსები დაკავშირებულია ერთმანეთთან და აღჭურვილია საერთო, 99,9%-იანი ეფექტურობის მქონე სახელოებიანი ფილტრით. პნევმოტრანსპორტის მუშაობისათვის აუცილებელი ჰაერის დაიჭირხვნა ხდება საკომპრესორო სადგურში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს მობეტონებულ, დახურულ შენობაში. წელიწადში 340 სამუშაო დღისა და დღეში 24-საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, საწარმოს სიმძლავრე შეადგენს 40800 ტ/წელ ცემენტს, რისთვისაც საწარმო იყენებს 28560 ტ კლინკერს და 12240 ტ დანამატს (თაბაშირი, ღორღი).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ასპირაციისა და ცემენტის დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით, ცემენტის წისქვილზე დამონტაჟებულია სახელოიანი ფილტრი (ეფექტურობა – 99,9%). წისქვილში დაფქვის შედეგად მიღებული სხვადასხვა მარკის (M-300, M-400, M-500) ცემენტი პნევმოტრანსპორტით, სახელოიანი ფილტრის გავლით, გადადის ცემენტის სილოსებში, დაჭერილი მტვრის უმეტესი ნაწილი ბრუნდება პროდუქციის სახით, მცირე ნაწილი კი მტვერგამწოვი მილით გაიფრქვევა ატმოსფეროში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, კომპანიას დაგეგმილი აქვს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და წარმადობის გაზრდა. პროექტი ითვალისწინებს საწარმოს ტერიტორიაზე დამატებით ახალი, 15 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის მონტაჟს, რომელიც იმუშავებს არსებული წისქვილის ანალოგიური რეჟიმით და წლის განმავლობაში აწარმოებს 122400 ტ ცემენტს, რისთვისაც დამატებით გამოიყენებს 97920 ტონა კლინკერს, 6120 ტონა თაბაშირსა და 18360 ტონა ღორღს. შესაბამისად, პროექტის განხორციელების შემდგომ საწარმოს ჯამური წარმადობა იქნება 163200 ტ/წელ. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო წისქვილი აღჭურვილი იქნება სამსაფეხურიანი აირგამწმენდი სისტემით, რომელიც მოიცავს დამლექ კამერას, ციკლონსა და 99,9% ეფექტურობის მქონე სახელოებიან ფილტრებს.

პროექტის ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია დამატებით 5 ერთეული 120 ტ ტევადობის ცემენტის სილოსის მონტაჟი. მათ შორის ორი განთავსდება არსებულ სილოსებთან, ხოლო სამი - ცალკე. აგრეთვე, არსებული ორი ერთეული 90 ტ ტევადობის სილოსი ჩანაცვლდება 120 ტ ტევადობის სილოსებით. პროექტის განხორციელების შემდგომ, 8 ერთმანეთთან დაკავშირებული სილოსი და სამი ცალკე მდგომი სილოსი აღჭურვილი იქნება 99,9%-იანი მტვრის გაწმენდის ეფექტურობის მქონე სახელოიანი ფილტრებით. საწარმოში დასაქმებული იქნება 45-მდე ადამიანი.

წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია არაქმედების ალტერნატივა, ამასთან აღნიშნულია, რომ პროექტის დაგეგმვის ეტაპზე განიხილებოდა ტექნოლოგიური და განთავსების ტერიტორიის ალტერნატივები. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან ცემენტის წარმოების ქარხანა წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გათვალისწინებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, არსებული ტერიტორია ადგილმდებარეობის გონივრული ალტერნატივაა. ხოლო შერჩეული ტექნოლოგიური დანადგარები სრულად აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. გზმ-ის ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ

საწარმოში გათვალისწინებულია თანამედროვე ტიპის მაღალი ეფექტურობის მტვერდამჭერი სისტემის მოწყობა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ზეგავლენას ატმოსფერულ ჰაერზე მტვრით დაბინძურების თვალსაზრისით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის უზრუნველყოფა სანედლეულ რესურსებით, ელექტროენერგიით, წყალსადენით, კავშირგაბმულობის საშუალებით – ხორციელდება არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან. ნედლეული (კლინკერი, თაბაშირი და მინერალური დანამატი) საწარმოს ტერიტორიაზე შემოიზიდება ავტოთვიტმცლელებით და ჩამოიცლება დახურულ სასაწყობე ტერიტორიაზე, საიდანაც ისინი დადგენილი რეცეპტის შესაბამისად, ავტომტვირთავების საშუალებით, გადაიტანება ბეტონის მოედანზე და აირევა. შემდეგ კაზმი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება წისქვილის მიმღებ ბუნკერს და წისქვილს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ გაიზრდება მხოლოდ ნედლეულის შემოტანის ინტენსივობა.

სილოსებიდან პროდუქცია მომხმარებელს მიეწოდება ცემენტშიდებით, ხოლო ცემენტის ნაწილი ფასოვდება 50 კგ-იან ტომრებში, რისთვისაც ერთ-ერთი სილოსი აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წყალი არ გამოიყენება, ხოლო სასმელ-სამეურნეო და სახანძრო მიზნებისთვის წყალმომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან და წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 688.5 მ<sup>3</sup> წყლის მოხმარება. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება არსებულ საკანალიზაციო სისტემაში, რომელიც მიერთებულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემასთან. ატმოსფერული ნალექების მართვის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე ქსელი, რომელიც დაერთებულია ქალაქის ცენტრალურ სანიაღვრე სისტემაზე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის ფარგლებში არ არის დაგეგმილი ახალი ტერიტორიების ათვისება, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოირჩევა ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აგრეთვე პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა და ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები,

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: ცემენტის მტვერი (TSP 70-20% SiO<sub>2</sub>) და არაორგანული მტვერი (TSP 20%-მდე SiO<sub>2</sub>). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებია: ცემენტის დაფქვის წისქვილები, კლინკერის და დანამატების ავტოთვითმცლელიებიდან ჩამოცლა და დასაწყობება, კაზმის ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილება, კლინკერის და დანამატების წისქვილების მიმდებ ბუნკერებში ჩაყრა, ცემენტის სილოსებში ცემენტის ჩაყრა, ცემენტის სილოსებიდან ავტოცემენტში ცემენტის ჩაყრა, ცემენტის დაფასობა ტომრებში. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, რომლის მიხედვითაც ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ანგარიშში გათვალისწინებულ იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს, შპს „რუსელოსის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევები. დოკუმენტაციის თანახმად საწარმოს ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვა.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ცემენტის დაფქვის წისქვილები და საკომპრესორო. ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ჩატარებულია ხმაურის გამომწვევი წყაროების (საკომპრესოროს და ცემენტის დაფქვის წისქვილების) ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში. გზმ-ის ანგარიშში მოცემული შეფასების მიხედვით, საწარმოო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს ახლომდებარე მოსახლეობისთვის (ხმაურის წყაროდან 100 მ). ამასთან, დოკუმენტში გათვალისწინებულია ყოველკვარტალური ხმაურის მონიტორინგი და აღნიშნულია, რომ ხმაურის დონის გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საჭირო ნედლეულის შემოზიდვა მოხდება მხოლოდ დღის საათებში, რომლისთვისაც გამოყენებული იქნება შემდეგი მარშრუტი: მშენებელთა ქუჩა - გაგარინის ქუჩა - კუზიანი ხიდი - მშვიდობის ქუჩა და უკუმიმართულებით, აღნიშნული მარშრუტი შეთანხმებულია ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რასთან დაკავშირებითაც გზმ-ის ანგარიშს ერთვის შესაბამისი წერილი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, დღის განმავლობაში ავტოცემენტშიდებით, ჯამურად განხორციელდება დაახლოებით 14-15 სატრანსპორტო ოპერაცია.

საწარმოდან ასევე დაგეგმილია, ტომრებში დაფასობული ცემენტის რეალიზაცია, რომლის გატანა ტერიტორიიდან მოხდება შედარებით ნაკლები ტვირთამწეობის

სატვირთო ავტომობილებით, რომელთა რაოდენობა დღეში შეადგენს ერთ ან ორ გადაზიდვას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მომარაგებისა და რეალიზაციის პროცესში გამოყენებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება იქნება ტექნიკურად გამართული, სადაც დაცული იქნება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა. დოკუმენტაციის თანახმად, გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვა საჭიროებისამებრ.

საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას. როგორც აღინიშნა, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გამონაბოლქვი აირმტვერნარევის გაწმენდის შემდეგ დაჭერილი ცემენტის მტვერი ბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში, შესაბამისად, საწარმოო პროცესიდან ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების, ხმაურის გავრცელების, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების კუთხით. ზემოქმედების გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს, შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა რომ საწარმოების ერთდროულად ფუნქციონირების შემთხვევაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (90 მეტრი) მოსალოდნელი არ არის. ამასთან, საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ჯამური დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. რაც შეეხება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, ვინაიდან საწარმოს მიერ ნედლეულის შემოსატანად და პროდუქციის გასატანად გათვალისწინებულია დღეში 14-15 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება, ასევე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ გვერდზე და ვებგვერდზე, ასევე ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების

დამკვიდრებულ ადგილებზე. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთ „მთელ კვირაში“.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე 2022 წლის 19 აგვისტოს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გაიმართა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“, შპს „გია\_2019“-ის, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და გზშ-ის ანგარიშის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელი. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები დააფიქსირეს სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლებმა. წარმოდგენილი შენიშვნები ეხებოდა საწარმოში უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის მონტაჟის ვადებს, ობიექტზე ხმაურის წარმოქმნის, კუმულაციური ზემოქმედების, პროექტის ალტერნატივებისა და ნარჩენების მართვის საკითხებს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთეს საქმიანობის განმახორციელებელმა და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა და აღნიშნეს, რომ უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემის მონტაჟის შეფერხება განაპირობა სისტემის ჩამოსვლის დაგვიანებამ. აგრეთვე, კომპანიის წარმომადგენლის მიერ განიმარტა, რომ საწარმოში ხმაურის წარმოქმნელ ერთადერთ წყაროს წარმოადგენს წისქვილი, ხოლო ნარჩენების მართვის საკითხი ასახულია დოკუმენტში წარმოდგენილ ნარჩენების მართვის გეგმაში. საქმიანობის განმახორციელებლის განმარტებით, სახიფათო ნარჩენები დაგროვების შესაბამისად იქნება გატანილი კომპანია „სანიტარის“ მიერ. (საჯარო განხილვაზე დასმული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია საჯარო განხილვის ოქმში). გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ წარმოდგენილი იქნა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები/კომენტარები, რომლებიც ეხებოდა საწარმოში ხმაურის წარმოქმნელ დანადგარებს, არაქმედების ალტერნატივას, ნარჩენების მართვის საკითხებსა და ნედლეულის შემოტანის ინტენსივობებს, აგრეთვე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებულ ქარებთან და კუმულაციური ზემოქმედებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შენიშვნებთან/მოსაზრებებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები თან ერთვის გადაწყვეტილებას, ცხრილის სახით.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების**

კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში შპს „გია\_2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „გია\_2019“-მა საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „გია\_2019“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა ინსტრუმენტული მეთოდით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
5. შპს „გია\_2019“-მა უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „გია\_2019“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყო და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები; საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
7. შპს „გია\_2019“-მა ატმოსფერულ ჰაერზე ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე განახორციელოს მავნე ნივთიერება მტვერზე, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ და შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში განსახილველად;



8. შპს „გია\_2019“-მა ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგად უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არაორგანული მტვრისა და ცემენტის მტვრის კონცენტრაციების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებზე გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში, უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების დამატებითი ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა/წარმადობის შემცირება და სხვ.) შემუშავება და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;
9. შპს „გია\_2019“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე ცემენტშიდების საბურავების მტვრისგან გათავისუფლების, ასევე, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების) განხორციელება და ცხელ და მშრალ ამინდებში (სულ მცირე დღის განმავლობაში ორჯერ) საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვა;
10. შპს „გია\_2019“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა;
11. შპს „გია\_2019“-მა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
12. შპს „გია\_2019“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობაზე მუდმივი მონიტორინგი;
13. შპს „გია\_2019“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით საქმიანობის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
14. შპს „გია\_2019“-მა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
15. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გია\_2019“-ს;
16. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გია\_2019“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
17. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო